



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული
სააგენტოს
გენერალური დირექტორი

ბრძანება № 2/277

08 თებერვალი 2015 წ.

ქ. თბილისი

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტისათვის - "ქართული
პერიოდიკის უწყვეტი ტრადიცია - ლიტერატურული ჟურნალი „განთიადი“
არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების
შესახებ

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი
დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“
51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის
მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის
გაფორმებული 2014 წლის 8 აპრილის №1 ადმინისტრაციული ხელშეკრულების 1-ელი
მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი
არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტს - "ქართული პერიოდიკის
უწყვეტი ტრადიცია - ლიტერატურული ჟურნალი „განთიადი“.
2. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის
ვადაში ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ობიექტის მონაცემების კულტურისა
და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი
ღონისძიების განხორციელება;
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან
ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში
(მისამართი: ქ. თბილისი, სანაპირის ქუჩა N4).

გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ ანთიძე